


საქართველო

გაზეთის ფასი

გაზეთის ფასი: ერთი წლით — ექვსი მან., ნახევარი წლით — სამი მან., სამი თვით — ერთი მან. და ხუთმეტო შაური, ერთი თვით — სამი აბაზი.

წერილები ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ: В. Тифлисе, въ редакцію газеты „ДРОБНА“.



ხელის-მოწერა: თელიძის ში: ბაზეთის „დროების“ კანტორაში ქუთაისში: ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში. ბაზეთი შემდეგი ადრესით უნდა დაიბაროს: В. Тифлисе, въ контору газеты „ДРОБНА“.

რედაქცია: ძველი ინსტიტუტის ქუჩაზე, სოლომონ მირიანოვის სახლებში.

კანტორა: ივანოვის ბიბლიოთეკაში, სასაბუღალტრო მედიანზე, შაბუროვის სახლებში.

ზინაარი

„დროების“ განცხადება — საქართველო: წერილი ამბობს „დროების“ კორრესპონდენცია: მელაიფიდან — ამერიკის განთავისუფლება — რუსეთი: უცხო — ქვეყნები: სურათები — არ ვიცი. საანდო — წერილები — საქართველოს ცხოვრებიდან: I. ნუ იქნები უცხო, II ერიდე ცნობის მოსპობას, ინგლო ზანა-შვილისა.

„დროება“

ხელის-მოწერა მიიღება: თელიძის — „დროების“ კანტორაში, ივანოვის ბიბლიოთეკაში, ქუთაისში — ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

ბარეშე მცხოვრებთ შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ მოთხოვნები: В. Тифлисе, въ контору газеты „ДРОБНА“.

„დროება“ ღირს გაგზავნით: ერთი წლით — ექვს მანეთად, ნახევარი წლით — სამი მანეთად.

მისაც წარმადელი, ან უარსადელი გაზეთის ფასი არ უმოსუბანია, ვთხოვთ გამოგზავნონ კრედიტის კანტორაში.

საქართველო

წერილი ამბობს

თელიძის თეატრის ანტრეპრენერს იბლოჩინს მიღწევა იტილითური ტრუბა შეუდგენია, და სექტემბრიდან ჩვენ ისევე ეღირობებთ მშენებელს ოპერებს, რომელიც ცოტა ოდნად მაინც განგვათავისუფლებს მომბეზრებელი პიესებისაგან.

— მართი კვირა მეტია, რაც ჩვენში ერთი დიდი კვირატი (კულიანი ვარსკვლავი) გამოჩნდა. იმედია რომ ამ კულიანი ვარსკვლავის გამოჩენის ეხლა ისე არაფერს შეეშინება როგორც ოცი წლის წინათ მოხდა.

— ამომისია, რომელსაც შავ-ზღვაზე პორტის ასაშენებელი ადგილის აღჩევა ჰქონდა მინდობილი, ათავისო თავის შრომას. ამბობენ რომ კომისისა ორს ადგილს არჩევს — ტუთუსს და ბელენჯისს.

— „სასოფლო გაზეთის“ რედაქციაში ისე იდება თითო მანეთად სამხანაგო ბანკების დაეთრების დაბეჭდილი ნამუშები. იბეჭდება აგრეთვე სასოფლო ბანკების წესდება, განმარტებითურთ.

„დროების“ კორრესპონდენცია

მელაი 26 ივნის 1874 წ.

საკვირველია მელაის საზოგადოება და მისი ცხოვრება! შევლა აქაური ჩათლახი, ჩანჩურა იბერება ვით ბაყაყი კრილოვისა; ყველა სცდილობს გამოჩინოს თავის ვინაობა; ყველა ჰფიქრობს ძრიელ მაღლა თავის თავზედა; ყველა ოხერი აქ აბრახუნებს ფეხებს; უსინდისო აქ სწდება პატიოსნათა; ხანჯა და კლიაუზნიკი — საყვარელ კაცათ; გონებით უბედურნი და მახინჯნი — დიდ პედაგოგებთ. მისაც აქეს ბუზის ტინი იჩემებს აქლემისას, ვინც უფრო გაესდიდ-ყურასა, დღევრძელობს და ბედნიერობს. მინც დააკვირდება მელაის ცხოვრებას არ შეიძლება არ შენიშნოს, რომ აქ მქვარობა ძიელ განხირბებულია და სამწუხარო უფრო ის არის, რომ ამ ქორების მომგონეთ ირიცხებიან იმისთანა პირნი, რომლებსაც პატიოსნებაში უფრო თავი მოკეთ და რომლებიც სხვას უნდა ამხელდნენ და განკიცხავდნენ ხოლმე სასტიკად ყველა ამ საზარელ საქმეში. ამისთანა პირნი არიან აქაურნი მღვდლები და ტერტერები. ძლიერიკალები რომ მართლა ძრიელ დახლოვნებულები არიან ამ გვარ საქმეებში ამას გვარწმუნებს ისტორია ძველი, საშუალო და ახალი.

მელაის კლერიკალებსაც გამოიჩინეს თავიანთი თვისება, მიღებული თავიანთ წინაპარებიდან. თუ ვინმე ამათ არ მოეწონათ და ან ჰფიქრობს სულ წინააღმდეგათ, ვიდრე ესენი — მაშინ მშვიდობით: უთუოთ უნდა მოელოდეთ, რომ გაგხევენ ცილის წამებაში. აქაური კლერიკალები სცდილობენ ყოველის ღირსის ძიებით და განსაკუთრებით ქორებით ანონ იმ პირთა, რომლებიც არ ეთანხმებიან მათ ჰაზრებში. აი მაგალითი: ერთი მელაის სამაზრო შკოლის მასწავლებელს დასწამეს, რომ ვითომცის ატიუზმს (უღმერთობას) უქადაგებდა თავის შეგირდებსა. საბუთათ აი რა ჰქონიათ. მასწავლებელს ახსნა ყმაწვილებისათვის წვიმის მოსვლა, ორთქლის და ღრუბლის წარმოებაა ზღვებიდან მზის სხივების გაღვინის ქვეშ. რადგანაც მასწავლებელი წვიმის მოსვლას ბუნებითად განმარტებდა, აქედან კლერიკალებმა გამოიყენეს დასკვნა, რომ ეს კაცი უღმერთოა და ამასვე უქადაგებს ყმაწვილებსა. ცხდათ სიხანს, თუ რამდენად გავრცელებულია ჩვენში ცნობები ბუნების მოცილებებზედ.

ზანა უღმერთოა ის კაცი, რომელიც ეტყვის პატარა ყმაწვილსა, რომ ქუხილი არის ხმა ელვისა და არა ილიას ეტლის სიარული შევლა მასწავლებლისთვის სამღვთოვალია, მოსპოს ყმაწვილის თავში ამ გვარი ცრუმორწმუნობა და მისცეს ნამდილი ახსნა ყოველსავე ბუნების მოცილებას. ჩემის ფიქრით ამისთანა პედაგოგი არის მადლობის ღირსი; მაგრამ მელაის კლერიკალებმა კი მადლობის მაგიერად ზედამხედველთან პირათ იჩივლეს ამ კაცის უღმერთობაზედ. აირეებს შერებიან მელაეში კლერიკალები! აი როგორი საშუალებით სცდილობენ დაღუბონ ის კაცი, რომელიც მათ არ ეპიტრეებათ. ამ გვარი მოქმედება კლერიკალების მხრით არ არის გააკვირვებული. რა არის მიზეზი, რომ კლერიკალები გვარჯიშებულები და დახლოვნებულები არიან ამ გვარ ქორიკანობაში. ამას აქეს ორი მიზეზი: უქმობა, ცუდობა და უმეცრება, მართლაც რომ ღრმად აზრი და ცხოვრების გამოცდილების დასკვნა იხატება რუსულ ანდაზაში: ცუდობა არის დედა ყოველთა მიწიერებათა.

0000

ამერიკის განთავისუფლება

მთხი ივლისი ძვირფასად მოსაგონი დღეა ამერიკელებისათვის! ამ დღეს ამერიკის ხალხი გამოვიდა ინგლისის მონებისაგან.

ღიდებულ სურათს წარმოადგენს: ერთის მხრით ძლიერი ინგლისის სამეფო, რომელსაც აღუღია ხომალა თავის გაურჩეული ქვეშევრდომების დასაჯგულად, და მეორეს მხრით ამერიკის შეურაცხყოფილი, აღლელებული და თავგანწირულად მებრძოლი ხალხი, თავსუფლების მოსაპოვებლად!

მეყენა, რომელსაც გარდა ეპრობისა და ოჯახობისა, სამხედრო საქმისა არა გაეგებარა, როდესაც ჰხედავს განთავისუფლების საშველს, იარაღდება ერთბაშით, აწოებს მეომართ ხმელეთზედ და ზღვაში. ამერიკის ხალხი აწერს თავის დროშაზედ: „განთავისუფლება, ან სიკეთილი“. და უნდა ესთქვათ, რომ ამ მიზნის მისაღწევად, ის არ შეურაცხარავითარს მხხერბლს... მაგრამ განვიმარტოთ ორიოდ სიტყვით მიზეზი აჯანყებისა:

1765 წელს, ინგლისის მართებლობა ადებს ბაჟს ამერიკელებს ქალაღზედ. ძოლონიელები უარს ჰყოფენ. ისინი ამბობენ ალელებით: „ჩვენ არა გეყავს წარმომადგენელი ჩვენის სარგებლობისა პარლამენტში, მაშასადამე არც მისგან დადგენილს ბეგარას გადავიხდით.“

ამ განზრახვით, ამერიკის ხალხი სწერს თავის მეფესა და პარლამენტს თხოვნას, რომელშიაც ჰქვიანად უხსნის და უმტიციებს ახალი ბეგარის დადების უსამართლობას. ამ აზრს უთანხმდებიან ინგლისის მაშინდელი საუკეთესო კაცები: ჰოკსი, პიტტი და სხვები და მეფე მართლა ათავისუფლებს თავის ქვეშევრდომ ამერიკელებს ახალი ბეგარისაგან.

მაგრამ ერთი წლის შემდეგ მართებლობა ხელახლა ადებს ამერიკელებს ხალს გადასახდს: ჩიხედ, ქალაღზედ, საღებავზედ და შუშეულობაზედ. როდესაც ეს გადაწყვეტილება მოდის ამერიკაში, მცხოვრებლები საშინლად შეშფოთდებიან და ბოსტონის ეპრობა სდებს ენერგიულ გარდაწყვეტილებას: „არ შამოუშვან ბოსტონის ბოლოში არც ერთი ინგლისელი ხომალდი“. ამავ გადაწყვეტილებას უერთდება იმ-

წამსე დაარჩინი შტატები და ინგლისის ეპრობას მოელის საშინელი ღაცემა. ბრიტანიის საზოგადოება ხედავს ამ თავის ქვეყნის გაჭირებას და აიძულებს მთავრობას ხელი აილოს ამერიკელების დახეგრაზედ კელავ. მაგრამ ინგლისის მთავრობა მაინც არ იშლის თავისას და ადებს კიდევ კოლონიელებს სხვა და სხვა, თუმცა ერთობ მცირეს, მაგრამ მაინც გადასახდს.

მაშინ ამერიკელები შედიან ერთ ინგლისელ ხომალზედ, რომელიც ბოსტონში დგას და სულ ერთიანათ რაც ზედ საქონელია ზღვაში გადაუყრიან. ეს მოქმედება ერთობ აფიცხებს ინგლისის პარლამენტს და ბოსტონის ბოლოში დაიხურება მთავრობის გადაწყვეტილებით.

მეორე დღეს ყველა ამერიკელი გაზეთები შავი არშით იბეჭდება და ხალხი ხმა მალლა სთხოულობს იარაღს ინგლისელების გასარეკად ამერიკიდან. ინგლისის ღიბერალები ეხლაც კოლონიელების მხარეს იჭერენ, ამტიციებენ, რომ მთავრობა შეწყვიტა რია და უსამართლობა ამერიკელების შევიწროება; მაგრამ გაფულისებული პარლამენტს ეს გონიერი რჩევა როდი ესმის.

მაშინ შილადელფის ქალაქში იკრიბება კონგრესი, რომელიც არის ყველა კოლონიების წარმომადგენი — გარდა შიორგიისა, რომელიც მალე უერთდება და სდებს მტიცი გადაწყვეტილებას: „რომ ინგლისთან გასწყვიტან ყოველი კავშირი“. ამასთანავე სწერენ თავის მეფესა და პარლამენტს გონიერ პასუხს მათი ამ ნაირი მოქმედებისას. მონგრესი თავის წერილში ამტიციებს: „რომ ამერიკა იცავს მხოლოდ თავის ბუნების სიმართლებებს, რომელიც მას ოფლითა და სისხლით მოუპოვებია და რომელსაც ინგლისის მართებლობა ეშუქრება წართვას.“

ამ წიგნმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მეროპაში, რასაკვირველია, ამერიკელების სასარგებლოთ. მეროპა ხედავდა, რომ აქ ბრძოლა იყო კაცის უფლებასა და ძალადობას შუა.

აქედან იწყება გამოცხადებული ომი, რომელიც თავდება აჯანყებულების გამარჯვებით.

მონაწილეობას ლებულობს მთელი ამერიკის ხალხი და უკეთესი მისი შვილები დგებიან ნაციონალური მოძრაობისთვის. მაშინგტონი ინიშნება ალტაცებული ამერიკელი ჯარის სარდლათ და ჭრანკლენი მოდის მეროპაში, რომ თავის სამშობლოს მოუპოვოს მოკავშირე და მებრძოლი.

და მართლაც, ლუი მეტეჟესმეტეს სასახლეში, სადაც ყველა მდიდარი სამოსელით და პარკით დადიოდა, უბრალო და სადა ჭრანკლენის გამოჩენას გასაოცარი გაელენა ჰქონდა. ეს კაცი განახორცილებდა ახლად დაბადებულს ამერიკელ თავისუფლებას და აღმტაცი ჭრანკლენის საზოგადოება ენციკლოპედიების და რუსსოს ქადაგებითა ერთბაშით დადგა მებრძოლთ დასში.

მარკის ლაჟეტი, ძმები ლაჟეტი, თავადი ლაროშჟუკო (რომელთაც შემდეგ დიდი მნი-

შენიშნება ჰქონდა სფრანგეთის რევოლუციის (დროს) და სხვა ბევრი ფრანკების ახალგაზრდა მიმწველი ამერიკელებს დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. ამით რიცხვში იყო აგრეთვე შესანიშნავი პოლშელი პატრიოტი და გმირი პოსტუმუსი.

ამერიკელები გახალისებული საზოგადო თანაგრძობითა მათი საქმისათვის, გაცხარებულიათ ებრძოდნენ ინგლისელებს და 1776 წელს, 4 ივლისს, სამხედრო მდგომარეობა იმ წინა წრეში იყო მისული, რომ მათ შეეძლოთ გამოეცხადებინათ „განთავისუფლება“.

მაგრამ ბრძოლა კარგს ხანს გაგრძელდა რომელიც დასრულდა რამდენიმე წლის შემდეგ ამერიკის განთავისუფლებით.

მკვლე.

რუსეთი

— ღვინდელი თელაველი კორკესპონდენტის ნაშრომის მსგავსი რუსეთშია ცალიან ხშირად მოხდება ხოლო რუსულ განხილვებში მოყვანილია მრავალი ფაქტი, რომელიც ამტკიცებს, რომ მღვდლები ძალიან ცუდის თვალთ უყურებენ ახალს შკოლას. შკოლისთვის გუბერნიის ალექსანდროვის უფლის სამღვდლოება აერცვლებს აზრს, რომ ახალი მასწავლებლები არ ვარგანანო. ისინი რაღაც ლექსებსა და ზღაპრებს ასწავლიან, რომელიც სულს სრულიად ცხარეფერს არგებს. სოლოებიც ძალიან ეხმარებიან მღვდლებს ამ კორკების გაერცვლებაში. ისინი ხმასა ჰყრიან, რომ მასწავლებლებს ღმერთი არა სწამთ, ოთხშაბათს-პარასკევს მარხვას არ იწინავენ, ერთის სიტყვით მეორეთ მოსვლის დრო მოვიდეთ.

შკოლისთვის გუბერნიის მარიუპოლის უფლისა ანგარიხი ხმება დაყრილი მღვდლების წყალობით. მათი მღვდელი სოფელს ურჩევდა, რომ ესა და ეს მასწავლებელი დაითხოვეთ, არ ვარგა, ამიტომ რომ ერთობ ყმაწვილია, ყმაწვილებს ვერ უფლისა, ის ყოველთვის იმით თამაშში ერევა ბავშვსავეთ ან არა და დაეთრევა და ბალახბულანს ჰკრეფს, ან სხვა და სხვა ჭია-ჭუას და მძოვრისაგან დარჩენილს თავის ძელებს აგროვებს. ღვინდის ყმაწვილებითურთ წყალში, იჭერს ბაყაყებს და სხვა საძაგელ ცხრილებს, ბანკებში ამწყვედებს და სწავლების დროს ყმაწვილებს აჩვენებს. ამას გარდა როზგს არ ხმარობს და მარცვლებზე და ხეინჯანზე ყმაწვილების დამოკებას სასარგებლოდ არ სთვლის. ამავე მღვდელმა ქადაგების დროს სთქვა, რომ სწავლული კაცებისაგან და განსაკუთრებით მასწავლებლებებისაგან არა ვითარს მაგალითს არ უნდა მივიღებდეთ, რადგანაც ისინი ნაწყელი კი არა სულელები არიანო.

ხარკოვის გუბერნიის ერთს უფლებში ერთმა მღვდელმა მთელი სოფელი დაჯერა, რომ მასწავლებლისთვის არ მიეცათ მათგანეჯამაგირად დაწესებული 75 მანეთი.

შველა კორკესპონდენტის მღვდლების მოქმედება ანგარების, ან მასწავლებელთან უკმაყოფილობისაგან გამოჰყავთ, ან არა და იმისაგან, რომ შკოლაში მღვდლების ალაგს თან და თან ახალი მასწავლებლები იჭერენ და ამგვარად როგორც ჯამაგირის ისე სხვა ჯილდოს მიღებას უსპობენ იმათ, რომელთაც აქამდის სრულიად არაფერი უსწავლებიათ ყმაწვილებისათვის, მაგრამ ჯამაგირსაც და ჯილდოს კი თვალ-გაუაციცებით შეჰყურებდნენ.

უსხო ქვეყნები

საზრანგეთი.

პარლამენტის კომისიამ უარ-ჰყო უფ. ქაზამირ პერრიეს წინადადება, რომელითაც ეს „ახლად მოქცეული რესპუბლიკელი“ სთხოვლობდა რესპუბლიკის დაფუძნებას საფრანგეთში. ამ წინა ბოლო მოსალოდებელიც იყო, რადგანაც კომისიაში უმრავლესობა მონარხელებს უჭერიათ. მაგრამ აქედან იმ აზრის გამოყენა კი არ შეიძ-

ლება, რომ თანისუფლების საქმეს საფრანგეთში გას-ქირი ჰქონდეს.

მერსალის გზა-დაბნეული ნაციონალური კრება ერთობ მჭევრმეტყველორათ ამტკიცებს თავის სისუსტეს. ის ვერ აფუძნებს რესპუბლიკას, მაგრამ ვერ აყენებს აგრეთვე ვერც შამპორს, მისი საშუალო საუკუნის მიმართულებითა, ვერც მორლენს, რომლის პარტია ამ ბოლოს დროს დაიბნინა, და ვერც ბონაპარტს, რომელსაც მარტო ოცდა ათამდე მომხრე ჰყავს ცხლანდელს პალატაში. რჩება ერთი და უკანასკნელი საშველი—დაშლა. და კრება უთუოდ უნდა დაიშალოს ამ ცოტას ხანში, რომლის მაგიერ საფრანგეთი ყოველად უეჭველია აღირჩევს რესპუბლიკულ ხალხის წარმომადგენლებს.

ლეგიტიმისტებს კიდევ ჰქონდათ იმედი, რომ ბურბონის მონარხის აღდგენა შესაძლებელი იქნებოდა, მაგრამ გრაფი შამპორის მანიჭებმა ყველაფერი დალუბა. ის რაინდი კლდესავეთ ადგას თვის აზრს.

შამპორი აცხადებს, რომ სამფროვანს დრომას, რომელიც მისი პპის ძმის თავის მოკვებაზე დაჰფარებატება „თანხმობის მოედანზე“ ის არასოდეს არ შეურიგდება. ის მიზნება მარტო საკმაო, რომ პერი მეხუთეს თავის დღეშია არ ელიროს საფრანგეთის ტახტზედ ავლა.

მეორე პრეტენდენტი, გრაფი პარიჟელი, ცხლა თითონ აცხადებს უარს გამეფებაზედ. რასაკვირველია, როდესაც კაცი ხედავს რომ მსხვერპლის მოუტანელია შეუძლებელია, მაშინ ის ხალა-უნებურად გამოიჩინს სულის სიმამლეს, ლიბერლობას! ამბობენ რომ ერთი თავის მამის წამინსტრალის, მონტალივეს, წიგნი, რომელიც ამ მიხუტებულმა მონარხიელმა მისწერა პერრიესს, პარიჟელი გრაფის რჩევით იყო შედგენილი. ამ წერილში ლეი შილიპეს წამინსტრალი აღიარებს, რომ საფრანგეთის ბედნიერებისთვის ცხლა რესპუბლიკა უნდა დაწესდეს, მონარხის დრო წაეიდაო. მონტალივე ულოცავს მარცხენა ცენტრის წინამძღოლს, ძაზიმირ პერრიესს, თავის წინადადების შეტანას და ეუბნება, რომ ყველა გონიერი და პატრიოსანი ფრანკუსი, რომელსაც უყვარს თავისი სამშობლო უთუოდ თანაგრძობობს თქვენ, რესპუბლიკის დასაარსებელთაო. ამ წიგნმა დიდი გავლენა იქონია ყველა პარტიებზედ, დაახანა საზოგადოებას, რომ მონარხიულ წყობილებას საფრანგეთში ერთიანად მოლაშობია ძირი.

ამა გარდა პარიჟის გრაფი აცხადებს საქვეყნოდ რომ ის ცხლა თანაგრძობობს რესპუბლიკას, და თუ შამპორის თაყვანის საცემლად იყო ჩორომდორფში, ეს შინაურების წყალობით მომივიდაო. მრავალი აზრადებს გრეთვე ერთს სტატია, სადაც გამოყვანილი იქნება მისი ლიბერალური მოქმედება ყოველთვის, და ისტრომპრეტენდენტმა მერიკის რესპუბლიკის თავისუფლებისთვის იბრძოდა მონების განთავისუფლების დროს.

შველა ესენი, რასაკვირველია კარგი რეკომენდცია იქნება ლეი-შალიპეს შეილისთვის. მაგრამ ესეც უნდა ითქვას, რომ შრანკუსები ერთობ დაშინებული არიან „რესპუბლიკელი“ პრინციებისაგან და ძნელად დაენდობიან მის გულ-წრფელობას. ბონაპარტელები ხოპსულ ისევ ნიადაგ თავის ხელობას არ სტოვებენ და აერცვლებენ ხალხში ყოველი საშუალებით იმ აზრს, რომ სჭირია სახელწიფო ცვლილება მოეხდინოთ ნაპოლეონის შეილის ტახტზედ ასაყვანათო. მოსყიდვას, დაპირებას, შეშინებას, ცილის წამებას, სიცრუეს, და ვინ იცის კიდევ

რას არა ხმარობს ეს პარტია, ოღონდ კი უფლება ჩაიგდოს ხელში: ჩვენთვის საჭიროა განმეორება მეორე დეკემბრისა (ამ დღეს ნაპოლეონმა, საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა, უღალატა ხალხს, სტენაფიცი და საშინელი სისხლის ღერა მოახდინა პარიჟში იმისთვის, რომ შემდეგ იმპერატორათ გამხდარიყო), მაგრამ უფრო ვრცლად, დაპატებულად და საფუძვლიანადო.

ამოგვეყვითეთ უფ. რესპუბლიკელებო! ყვირის დორბლწამოსული პოლ-დე-ქასანიაკი თავის გაზეთში—„თორემ ჩვენ ბონაპარტელები ავი გულის პატრონი ვართ, ხანგრძლივი ხსოვნა გვაქვს. შებრალებას არ მოვლოდეთ! თქვენი ბინა იქნება: ძაინა, ციხეები, ემფოტი, დხერეტ! საჭიროა თქვენი დაწყველილი ძირის აღმოფხვრა“. ამ ენით მიმართავს ბონაპარტელი ჟურნალისტი რესპუბლიკელებს. ცხადია, რომ მომავალი საზოგადო კენჭის ყრის დროს დეპუტატების ასარჩევად კრებაში, საშინელი ბრძოლა უნდა იქნება ამ პარტიებს შორის.

მაგრამ დიდი წინასწარმეტყველება არ უნდა იმის თქმას, რომ ბონაპარტელების ინტრიგა ვერ დაუშლის საფრანგეთს თავისუფლების დამყარებას, ვერ შესძლებს მომავალ კრებაში რესპუბლიკელების მეოთხედი რიცხვი დეპუტატები აღმოარჩევინოს ხალხს.

ამნაირი აშფოთებული მომავალი, და მარშალის მკ-მპონის „ბრძანება“ ჯარისადმი ლონშანში, ყველა ესენი საშინლად აფეთებენ ბურჟუაზიას, აჩერებენ ეპრობას, აღებმიცემას და ყოველ გვარ კომერციულ გამოწყებას.

მარშალი ეუბნება ჯარს, რომ ის ვალდებულია, შეეწიოს იმას, ე. ი. მკ-მპონს პოლიტიკური მოსაზრების აღსარულებელად, რომელსაც მოითხოვს გარემოება. „ალბათ მარშალს, რაღაცა განზრახვა აქვს, თორემ ეს რათ სთქვაო!“ ამბობს დაფეთებული პარიჟელი ეპრობა.

რესპუბლიკის პრეზიდენტის „პატრიონებზედ“ ამას წინათ ყველა დარწმუნებული იყო, მაგრამ ცხლას აზრი ცოტა შერყევას იწყებს. მკ-მპონი ეუბნება ერთს დეპუტატს: „თქვენ შეგიძლიათ რამდენიც გნებავთ იბასათ, ასეც გადაწყვიტოთ და ისეც, თუ გინდ იშვალათ, და თუ გინდ რამდენს ხანსაც გსურსთ დარჩეთ, მაგრამ მე კი ჩემს შეილი წლის უფლებას ერთ დღესაც არ გამოვაცლებ. მე შეიდ წელიწადს უნდა ვიქნე ისაფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი და ამ ტიტულის გაცემა არ მსურს არც მთავარ მართებლობაზედ, არც სხვა ხარისხზედ“.

„მე სადაც ვდგევარ დღეს, იქვე ვიდგამი-ლები!“

ძაი ხუმრობა, თუ ვერსალის მონარხიულს კრებას გველი გამოუზღია თავის უბეში და მკ-მპონი მათ აღარ აქვას!

ნარკვი

საანდასო.

ქუანი ვარსკვლავსა და კუდიან კაცს შუა ის განსხვავებაა, რომ პირველი თითონ გამოჩნდება, მეორე კი გამოხატება.

შარი შიოთფეს თხოვლობს ცოლისაგან „სარჩოთ“, ცოლიც—არა. სიმართლე თუ გინდათ ქალმა უნდა მოსთხოვოს კაცს შიოთფე, როდესაც იგი არჩენს მას.

მეძებრები ნადირობამდი არიან მარტო ვადა-

მელნი, ცოლ ქმაი კი—ყველთვის.

მეფის ალფონსი, აღმოკატის უმწარესი, ქალის ფიცი თანსწორად დასაჯრუნებელია.

მარჯვე მონადრე ამბობს: ჰქარ ვარეულსა, თორემ შინაური სად წაგივ!

ზოგერთი კაცი ძაბუნ ქორსა ჰგავს: ვარეულს რომ ვერ მოინადირებს, შინაურს დაუბრუნდება.

მართლის მთქმელს ცხენი შეკახული უნდა ჰყავდეს.

მოსარების სიყვარულს და რძლის სიყვარულს შუა ის განსხვავებაა, რომ პირველს დიდი ჯაფა სჭირია, მეორეს კი—არა.

შვილის გამოზნას ისევ გოჭის გამოზნა სჯობია. გოჭი დაიკლება მინცა, შვილი კი ამათაც არ ვარგა.

აღმანი მარტო ბედნიერებაში მეგობარი ძალი, კი ნიადაგ.

მოვლის კარზედ მოდგომას, საყარლის ტურში კოცნა სჯობია და ამას—სქელი მჭადი და კბილი ყველი.

საყვარლის გული ნეტარიც არის და ძირმწარც. ნეტარი, როდესაც ერთგულია, და ძირმწარც, როცა გღალატობს.

შალის გონიერება კაცზედ ანთი მტკიცდება: ცოლს არ სჯერა ქმრის ერთგულება, ქმარს კი ცოლისა—ყოველთვის.

ანგარი საყვარელი და შევარდნი ორივე ერთი ხნისაა. მრივე თანსწორად სტოვებს ძველს სამუღობელს, როდესაც მეგობარ კლებულობს.

ცული კაცის ქება გამლანძველია, ცრუს დამოწმება საწყენია.

ლამაზი ქალის სიყვარული საშიშია, დღეჭირისა—სასარგებლო.

რამდენათ ცოლის კურტუმა მშვენიერდება, იმდენათ ქმრის ჯიბე გლახავდება.

ზოგი ერთ ქართველ ქალს თავ საკრი მოუძვრიათ ე. ი. გარიღან დაუწყიათ გოგრის გავერობილეთა. არ სჯობდა ვითომ, რომ ეს პროცესის შიგნიდან დაწყებულ-იყო?

სოლიანი კაცის მღვთმარება და მეტანკისა ქალაღში თანსწორია. არც ერთმა იცის როდის მოუჭირან თავის საუნჯეს, არც მეორემ.

თუ ქალის გარშეყება გინდა ჯერ მის ქმარს დაუშვებრდი, მერმე ოჯახის ძალს.

პატრიოსანი კაცი იმისთვის ვერ იწვევა ზევით, რადგანაც სწორი გზით დადის.

სტრომომისთვის კუდიანი ვარსკვლავის გამოჩენა აღდგომა, აღმოკატისთვის დანაშაულობის გავრება, ჩინოვნიკისთვის უფროსთან პრეტენანის თამაში, ხახისთვის მეგობრის ცოლის სიკვდილი.

ღამუკის სინდისი ცალ ფულად ღირს, იმისი დამჭირებელისა სულ არაფრათ.

ზოგერთი ნიჭიერი კაცის ზნობას ისევ შეძავი ქალის ზნობა სჯობია. პირველი სულს ჰყიდის უფლად, მეორე კი მარტო—სხეულს.

შამართლო ბატონის წყალობა ჯილდოს მიმღების სიცუდეს ამტკიცებს, რისხე კი—სიკეთეს.

ხალხი და ყმაწვილი ორივე თანსწორად აღვილად დასარწმუნებელია. მართცა და მეორეც შეპირებით დაკმაყოფილებია.

ზღვასა და ხალხს შუა ის განსხვავებაა, რომ

პრიდო სნობის მოსკობას!

შუპროვინციული მათემატიკის პაპუნათ ვიტყვი, რომ ქართველები მარტო...

შურა უდიდეს სულის სიძლიერეს, ხასიათის სიმტკიცეს და მტრისთვის შეუპოვრობის მაგალითებსაც იპოვით ქართველების ცხოვრებაში. 1186 წელს სირიელებმა, ხერასნელებმა, სპარსელებმა და სხვა მრავალმა მოსლემებმა ხანებმა მოიყარეს ერთად თავი და დააპირეს საქართველოს დარბევა. მფეუ შიორგემ შეიტყუა თუ არა იმათი განზრახვა, მაშინვე შეჰყარა იმერნი და ამერნი, ჰერკანნი, მესხნი და აქარელნი და განმეინებული გაემზადა იმათთან საბრძოლველად. მოსლემობა დაბანაკდა სამხრეთში, მდინარე არაქსის მარცხენა მხარეს და მოადგნენ ბაგის ციხეს, რომელშიც ქართველების მეციხოვნეები იყვნენ: ილიეს ეს ციხე და აახრეს იმისი არე-მარე ადგილები. მაგრამ ანის ქალაქს კი ვერაფერი დააკლეს, ამისათვის რომ აქ ქართველები ძალიან გაშავდნენ, რადგან მოთავეთ ჰყვანდათ ძლიერ სახელგანთქმული ქართველი კაცი თორელი. მართველები აქ მტერს პირისპირ დაუდგნენ. მიღრე ომი დაიწყებოდა მეფის ჯარში მყოფი ქართველები მტრის პირისპირ კისკი ობდნენ, ჯირითობდნენ და სიხარულით არ იცოდნენ რაქენათ, რომ საცა არის იმათ შემთხვევა მიეცემათ—ყველამ თავ-თავისი ბიჭობა და მკლავ-მარჯობა გამოიჩინოს. ასე მარჯვედ და თამამად რომ იხილეს ქართველები, მუსულმანები შეშინდნენ და ვერ გაბედეს ომი. შეიყარა სამხედრო თათბირი და რქ ასრე გადაწყვიტეს: „რა არს დღეს კაცი ქვეყანასაზედა პირისპირ შემხმელი ქართველებისა და ლაშქარა მისთა? მივირდოთ და დავფარნეთ პირისა მათისაგან.“ ამ გადაწყვეტილების შემდეგ სიჩქარით დასტოვეს ბაგის ციხე მთელის სურსათით და გაიქცნენ; ქართველები მიჰყვნენ უკან, მოვივნენ და ასეთი ყათლამი აუჩინეს, რომ კატისაგან შეშინებულ თავგებივით აქა-იქ იშლიებოდნენ და ჩხეწებოდნენ შეგვირიგდითო. მართველებს არ უნდოდათ შერიგება; მაგრამ ზოგიერთმა მეფეს უთხრეს: „ვიწინადგან გაქცეულა სულტანი ყოვლითა სპითა მისითა, ნურღარა აღზავებულთი მადრებლობ დეათისაგან უსრეთ ამალმებული.“ მეფე კეთილ-გონიერი კაცი იყო, დათანხმდა იმათ რჩევაზე

და დაითხოვა ჯარი; თერთონ კი ერთი დასტა კაცი ლეონის ხეობში სანადიროთ დარჩა. ნადირობის დროს მეფეს მოუხედა ხოლონის სულთანისა და სხვა მუსულმანი ხანებისაგან მოციქულად ერთი სამხედრო საქმის მცოდნე მტრელი კაცი, ამხილველი და გამხილველი მეფის მცირე დასტის ბანაკისა. ამ კაცის სიტყვით ვითომც ხორასნის სულთანი და სხვანი ქართველებთან შერიგებას თხოულობდნენ. მართველებმა ვერ გაუგეს ხრიკი. მეორე დამეს, როცა ქართველებს ეძინათ, ეს კაცი გაიპარა და მივიდა სულთანთა და ასრე უთხრა: „ამა ყამი კვალად გების ჩვენისა: უკეთუ აწ არა მიხედეთ, სხვა ყამი ვერღარა პოოთ.“ მანთიადისას მძინარე ქართველებს სულთანი თავს დაესხა. მართველები წამოცვიდნენ, მოახტნენ ცხენებს და შებმა მოინდომეს. მაგრამ სიმცირისა გამო, მეფის რჩევით, ჯერ-ჯერობით ომს შორიდება არჩიეს. შამოუყენეს შინ დაბრუნებულ ქართველებს მარჯვე ყმაწვილები და უბრძანეს უკან დაბრუნება. ჯარები შეიყარნენ და ისრე ფიცხლად შეებნენ ხორასნის სულთანს, რომ თავზე კაკალი დამეტრიეს. დამარცხებული მტერი გაიქცა. მეფე ჩაეიდა ანის ქალაქში და დააყენა მართველად ორი კაცი, ერთი ქართველი, მეორე სომეხი, რადგან ამ ქალაქში სომხები სცხოვრებდნენ. ამის შემდეგ მეფისა და სულთანის შუა ჩამოღდა სულთნის ცოლი დედოფალი რუსუდანი, და მეფისა, დამოხდინეს შერიგება; მაგრამ ქართველებმა ეს შერიგება არ მოიწონეს. ამისათვის დაბრუნების შემდეგ, მეფე რომ დაიარებოდა თავის სამეფოში და ყველაფერს გან გებდა, ქართველები ყოველგან უკმაყოფილებას უტახდებდნენ შერიგებაზე. ის იპერეთში რომ მოვიდა და დადგა ბეგუთის სასახლეში, მაშინ მოიყარეს საქართველოს წარჩინებულეებმა და გლეხობამ თავი და ასრე უთხრეს მეფეს: „რა არს ღონე ღირსობის ჩვენისა თვინიერ ლაშქრობისა და რბევისა.“ მეფე ჯერ თანახმა არ ხდებოდა; მაგრამ ბეგუთელებმა იმას ძალა დაატანეს და დაითანხმეს. დასკვნეს ლაშქრობის პაემანი. შეიყარნენ მთელ საქართველოდგან ჯარები და გაიყვნენ ხუთ ნაწილად. ძღარჯეთელებს და შავშელებს, რომელნიც ეხლა ოსმალეების ხელში არიან, მფეუმ მისცა ნება ოსმალეთის შაფზღის ნაპირა ქვეყნების მოხრებისა და დარბევისა; მესხელებს და თორელებს უწინამძღოლა ჰოვტი რუსთაველის მამა ამირ-სპასალარი*)

*) რადგან ყველას ფიქრით მეფეების ტყაოსანი რუსეთმა ომარ-დედოფლის შესამკობათ დასწერა და იმის სილაპხით ეშში მოსულმა შიგ აქაინ დილის სახელით თავისი თავი გამოხატა, ამისათვის

და მისცა ნება შარის ახლო-მახლო ქვეყნების მოხრებისა; სოსხილგებს მტერის მარჯვენა მხრისა, ვიღრე სპარსეთამდე; თერთონ მეფემ ქართლელებთან და იმერლებით შეტრბა სპარსეთის სამეფოში და მილწ-მოლეწა (თურანში) ყოველი არე-მარე გაზნა სატახტო ქალაქისა; კახელები და ერეთელები ალაზნის შესართავიდგან შეუსიეა შირვანის სახანოს. ასრე ამგვარად გაწყობილ ლაშქრებმა ყველამ თავ-თავის დანიშნულს ქვეყნებს ქორივით დაუქროლეს, მილწ-მოლეწეს მტერი, იშოვეს დიდი დაეღა და მოვიდნენ თავის სამშობლოში. მეფეც მოვიდა სპარსეთიდგან, მოიტანა დიდი საშოვარი და დადგა ისევე ბეგუთში, რომლის მცხოვრებლებმაც ეს სახელოვანი ომი გააბედინეს (იხ. შარო სხვ. 267, 269, 270 და 271 კაბადონები).

ამის შემდეგ საქართველო ისრე გაძლიერდა, რომ ყველა სამხანადიანო მეზობელსამეფოებს ქართველების ხმლისაგან შიშით ათხთახებდათ. მთელს აქარას, რომელიც ახლა ოსმალეთს უჭარავს, მთელს სამცხე-საათაბაგოს, შართლს, მახეთს, იმერეთს, ბურხას, სამეგრელოს, აფხაზეთს და სეანეთს ისრეთი სიყვარული და ერთობა ჰქონდათ, რომ მტერი ვერას აკლებდა საქართველოს, რა გინდ რომ ძლიერი ყოფილიყო. თუ სადმე მტერი გამოჩნდებოდა, მეფის ერთს დამახებზე ყველა საქართველოს ნაწილებიდგან შეიყრებოდნენ ჯარები და გამგზავრდებოდნენ მტრისთვის თავ-ზარ დასაცემად. ამისათვის ყველას ეწინოდა ქართველებისაგან და დიდს პატივს სცემდნენ. შართლის ცხოვრების 275 კაბადონზე არის მოხსენებული: „რამეთუ ქარაფლთა სძინობდეს და ძიობდეს მფეუნი ბერძენთანი და რომათანი, ინდოთა და არაბთანი, ვერაფრე სულთანი ხერასნისა და ბაბილონისა, შამისა, მეგობისა და იკონიისანი, და შემდგომნი ამათი სკიფთანი, ხაზრანი, ალანნი და ყოველნი ერნი, ენანი და ნათესენი, მღრბობით მაშრიყამდე (აღმოსავლეთით და დასავლეთამდე.)

ამ გვარს პატივის ცემაში მყოფა საქართველოს ერთი სტკებოდა თავის შეიღობიანი და ბედნიერი ცხოვრებით, ერთობით და ერთმანეთის სიყვარულით თავის მეფის შიორგი III-ს ხელ ქვევით. მეფე ყველას, როგორც თავის შეიღობს, უფელიდა, ესარჩილებო-

რუსთველისავე სიტყვით მე ვამტკიცებ, რომ ამისი მამა ეს შარო-სპასალარი იყო. „შართლის ცხოვრებაში“ ამ დროს ეს სახელი არის მოხსენებული, თუმცა არ არის ნათქვამი, რომ ეს კაცი რუსთველის მამა იყო. მაგრამ ნაკვალად ამისა მეფეების ტყაოსანის მე 40 მუხლში თვითონ რუსთველივე ამბობს, რომ მამა ჩემი ამირ-სპასალარი იყო და მე, ომარის დროს,“ საროსა მგობი ნაზარდი და უწევრული,

და რომ არსად მამხდ რუსთა-მარათობა მეფე ხან იმერეთში სცხოვრებდა, ხან თურქულსში და ხან ქახეთში. მამის სემეფლმ არც ერთ ნაწილს არ სტოვებდა თავის უყურადღებოდ. თუ თერთონ იმერეთში წამობრძანდებოდა და სამეფო საქმეების და სამართლის წარმოების გასახილველად, თავის მეუღლეს ბურდუნან დედოფალს თვითონსში სტოვებდა, რადგან ეაჭი შეიღობა არა ჰყვანდა, გარდა სახელ-განთქმული ომარ დედოფლისა—ახულისა. ბეგუთში, რომელიც არის იმერეთში, შუთაისის ქალაქს ქვემოთ რიონის პირზე, ჰქონდა მშენიერი მრავალ პალატოვანი სასახლე, რომელსაც მამინ ციხე-დარბაზად უწოდებდნენ, ახლა კი „ომარის ციხე“. აქ იმასა ჰქონია მშენიერი შარდევანი და ერთი დიდი სათვეზე აუზი, რომელშიაც წყალი რიონიდგან მილით ყოფილა გამოყვანილი და შიგ კალმანი ჰყოლია. შამთრობით მეფე აქ იჯდა, ლხინობდა და ნადირობდა აჯამეთის ტყეში. ზაფხულში კი ისევე გადადიოდა აღმოსავლეთის საქართველოში და ხან სცხოვრებდა თვითონსში, ხან უჯარმის ციხეში. ამის დროდგან საქართველოს აღმოსავლეთის ნაწილს დერქვა, ამერი, დასავლეთისას იმერი და მას აქეთ ახლანდელ შუთაისის გუბერნიას უწოდებენ „იმერეთი“.

აბა ახლა 1123—1156 წლების შუა მცხოვრებ ქართველებს შეადრეთ 495 წლის მახტანგ-მორგ-სლანის დრონდელი ქართველები, თუ არ დარწმუნდეთ, რომ ჩვენი გლეხები მარტო მახტანგის დროს არ ეუბნებოდნენ თავის ბატონებს—გაგვიძებით წინ და გაელეწოთ ჩვენი სამშობლოს მტერიო. საქართველოს გლეხები თითქმის მუდამ ასრეთი მამაცობით იყვნენ აღჭურვილნი; იმათ სიცოცხლე, სიმხნე, ეაქაცობა, ამაყობა და გამბედაობა ჰქონდათ. ისინი უბედურებას კისერს არ უხრდნენ, თავიანთ ეაქაცობაში დარწმუნებულნი იყვნენ; ყოველ-უბედურებას და მტრის მძლავრობას თავის ღონიერად ქშინვარე მკერდით არღვიდნენ და ამყარებდნენ სამშობლოში მშვიდობიანობას.

განცხადება

ამ მოკლე ხანში დაწყება გაყიდვა ღოლ-შტინური კარაქისა და ქართული ყველების, რომელიც გაკეთებულია უ. პ. ულელიანისაგან გამართული საამხანაგო ყველის ქარხანაში, ორიალეთში. დაწერილებით გააცხადება შემდეგ ნომერში.

Table with columns: რ.პ.ზ.ა., დილა, საღამ., II კ., III კ., ანსლის გეგეგი, შო.შტა, ბირშა, მან.კაპ, მაზანდა, მან.კაპ, სახაზინო. განცხადებანი. Rows include various categories like 'თელიისი', 'მცხეთა', 'ბორი', 'სურამი', etc.